

შპს „თეგიმის“ ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	6
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. კომპანიის საოპერაციო გარემო	6
3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	11
სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება	11
5. ამონაგები	12
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12
7. დებიტორული დავალიანების გაუფასურება/რივერსი	13
8. სხვა ხარჯები	13
9. კურსთაშორის სხვაობა	14
10. ფინანსური ხარჯი	14
11. ძირითადი საშუალება	15
მატერიალური აქტივები	15
არამატერიალური აქტივები	16
12. მარაგები	16
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
14. ფული და ფულის ეკვივალენტები	18
15. მიღებული სესხები	18
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
17. პირობები და ვალდებულებები	19
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	19

შპს „თეგმი“-ს

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	მენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	1,433,173	629,437
არამატერიალური აქტივები	11	3,253	2,546
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,436,426	631,984
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	12	171,738	132,486
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	79,158	263,487
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	89,097	266,130
სულ მიმდინარე აქტივები		339,993	662,104
სულ აქტივები		1,776,419	1,294,087
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი		11,381	641
სხვა რეზერვები		820,665	(103,525)
გაუნაწილებელი მოგება		747,393	860,202
სულ საკუთარი კაპიტალი		1,579,439	757,318
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	15	8,625	73,361
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		8,625	73,361
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	15		210,240
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	188,355	253,168
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		188,355	463,408
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,776,419	1,294,087

-

სახელი გვარი - ფინანსური დირექტორი

სახელი გვარი - გენერალური დირექტორი

28 სექტემბერი, 2023

თბილისი, საქართველო

შპს „თეგმი“-ს

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება	მენიშვნა	2022	2021
ამონაგები	5	1,287,912	3,157,956
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(512,020)	(1,910,668)
შრომის ანაზღაურება		(521,842)	(275,622)
სოციალური დანარიცხები		(11,605)	(23,775)
დებიტორული დავალიანების გაუფასურება/რივერსი	7	145,347	(7,445)
ცვეთა და ამორტიზაცია	11	(87,668)	(39,406)
სხვა ხარჯები	8	(181,186)	(233,750)
საოპერაციო მოგება		118,937	667,290
არასაოპერაციო შემოსავალი		1,510	9,186
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		79,006	11,876
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება	9	(3,059)	2,405
ფინანსური ხარჯი	10	(16,406)	(79,246)
მოგება დაბეგვრამდე		179,988	611,511
მოგების გადასახადი		(47,977)	
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		132,010	611,511

სახელი გვარი - ფინანსური დირექტორი

სახელი გვარი - გენერალური დირექტორი

28 სექტემბერი, 2023
თბილისი, საქართველო

შპს „თეგმი“-ს

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16,770	575,887	- 103,525	489,132
გასული წლის ნაშთის კორექტირება			-	-
გამოცხადებული დივიდენდი		(301,736)		301,736
წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი მოცემული წლისათვის		611,511		611,511
სხვა რეზერვები	(16,129)	(25,459)		41,588
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	641	860,202	- 103,525	757,318

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	641	860,202	- 103,525	757,318
გასული წლის ნაშთის კორექტირება			-	-
გამოცხადებული დივიდენდი		(244,819)		244,819
წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი მოცემული წლისათვის		132,010		132,010
სხვა რეზერვები	10,740		924,189	934,929
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,381	747,394	820,664	1,579,439

სახელი გვარი - ფინანსური დირექტორი

სახელი გვარი - გენერალური დირექტორი

28 სექტემბერი, 2023
თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „თეგიმი“ (შემდგომში - „კომპანია“) დაფუძნდა 2012 წლის 8 თებერვალს, ხელმძღვანელობაზე/ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი 38001048372 მიხეილ თურმანიძე/ დირექტორი
პარტნიორები: 38001034802 მარინე ცუხიშვილი 100% წლის მფლობელი. საიდენტიფიკაციო კოდი: 439392818, მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ,
იურიდიული მისამართი: საქართველო, საჩხერის რაიონი, ს. ორღული.
კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.7020	3.0976
1 ევრო/ლარი	2.8844	3.5040

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც შეიცავს ვალუტის არსებობას, რომლის კონვერტაციაც ვერ ხდება თავისუფლად სხვა ქვეყნების უმრავლესობაში, შედარებით მაღალი ინფლაცია და ძლიერი ეკონომიკური ზრდა.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არ არსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებული

ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკური გარემოზე.

მენეჯმენტს არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში და ყველა ღირებულება დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენის თანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

კომპანია ფლობს მიწას და არამატერიალურ აქტივს. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)	
შენობა ნაგებობები	5-20
მანქანა დანადგარები	2-5
ავეჯი და ინვენტარი	2-5
სატრანსპორტო საშუალებები	5-10

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არასაფინანსო აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

გაუფასურების შესაფასებლად, აქტივები ჯგუფდება იმ დონემდე სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, არაფინანსური აქტივებზე, გუდვილის გარდა, რაზეც მოხდა გაუფასურება, ხდება იმის შეფასება გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და ახიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

იჯარა

იმის განსაზღვრა თუ ხელშეკრულება არის (ან მოიცავს) იჯარას დაფუძნებულია შეთანხმების შინაარსზე. ხელშეკრულება არის, ან მოიცავს იჯარას თუ შეთანხმების შესრულება დაფუძნებულია სპეციფიკური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზე, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ეს აქტივები არ არის აშკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან

სამშენებლო კონტრაქტებიდან შემოსავლის აღიარება ხდება დასრულების პროცენტული მაჩვენებლის მეთოდის გამოყენებით, რაც გამოითვლება ანგარიშგების თარიღისთვის ფაქტიური დანახარჯების პროპორციულად, მთლიან დაგეგმილ ხარჯებთან მიმართებაში, თითოეული კონტრაქტისთვის.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგებისგარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამა ქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საკონლოს ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საკონლოს, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა. შესადარი ინფორმაცია დარჩა უცვლელი წინა სააღრიცხვო პერიოდის შემდგომ.

5. ამონაგები

	2022
შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	999,754
შემოსავალი მზა პროდუქციის და მასალების რეალიზაციიდან	57,844
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	230,315
სულ	1,287,912

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებულის თვითღირებულება 2022 წლის დასრულებული წლისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2022
სამშენებლო კონტრაქტების შესრულების თვითღირებულება	(486,672)
რეალიზებული მზა პროდუქციისა და მასალების თვითღირებულება	(25,348)
სულ	(512,020)

7. დებიტორული დავალიანების გაუფასურება/რივერსი

	2022
დებიტორული დავალიანების გაუფასურება/რივერსი	145,347
სულ	145,347

8. სხვა ხარჯები

	2022
კომუნალური გადასახადები	(6,067)
სარეკლამო ხარჯი	
ტრანსპორტირების ხარჯი	(1,030)
სამშენებლო ტექნიკის იჯარა	
ფართის იჯარა	(375)
კომუნიკაციის ხარჯი	(1,969)
დაზღვევა ავტომანქანა	(4,506)
დაზღვევა ადმინისტრაცია	(9,378)
საგადასახადო ხარჯი	(8,448)
საწვავის ხარჯი	(25,936)
საკონსულტაციო ხარჯი	(16,814)
საკანცელარიო	(1,017)
ბანკის მომსახურების ხარჯი	(1,294)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციის ხარჯი	(64,346)
ავტომანქანის ხარჯი	(16,486)
სხვა	(23,521)
სულ	(181,186)

9. კურსთაშორის სხვაობა

	2022
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი	(3,059)
სულ	(3,059)

10. ფინანსური ხარჯი

	2022
სს თიბისი ლიზინგი	(3,189)
სს საქართველოს სალიზინგო კომპანია	(10,765)
სს საქართველოს ბანკი	(1,481)
შპს ელვარე	(971)
სულ	(16,406)

11. ძირითადი საშუალება
მატერიალური აქტივები

	მიწა	შენობა ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი	67,533	190,888	493,339	97,607	912,724
შემოსვლა			14,271		32,266
გადაფასება	254,262	306,514	113,810		954,152
გასვლა					-
2022 წლის 31 დეკემბერი	321,795	497,402	621,421	97,607	1,899,142
ცვეთა და გაუფასურება					
2021 წლის 31 დეკემბერი	-	(58,387)	(193,898)	-	(283,286)
პერიოდის ცვეთა		(17,951)	(40,451)		(87,517)
გაუფასურება				(30,820)	(30,820)
გასვლა			(64,346)		(64,346)
2022 წლის 31 დეკემბერი	-	(76,339)	(298,695)	(30,820)	(465,969)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2021 წლის 31 დეკემბერი	67,533	132,501	299,441	97,607	629,438
2022 წლის 31 დეკემბერი	321,795	421,064	322,726	66,787	1,433,173

არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება სულ გრძელვადიანი აქტივები

2021 წლის 31 დეკემბერი	2,546
შემოსვლა	
გადაფასება	858
2022 წლის 31 დეკემბერი	3,404
ცვეთა და გაუფასურება	
2021 წლის 31 დეკემბერი	
ცვეთის ხარჯი	(151)
2022 წლის 31 დეკემბერი	3,253
წმინდა საბალანსო ღირებულება	
2021 წლის 31 დეკემბერი	325,199
2022 წლის 31 დეკემბერი	3,253

გადაფასების თარიღი: 30.04.2022 გადაფასებულია დამოუკიდებელი შემფასებელი
მეთოდით

არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს პროგრამა რომელსაც კომპანია იყენებს ბუღალტრული აღრიცხვისთვის.

12. მარაგები

	31.12.2022	31.12.2021
ნედლეული და მასალები	171,632	132,228
სხვა მარაგები	106	258
სულ მარაგები	171,738	132,486
სულ	171,738	132,486

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2022	31.12.2021
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	93,008	418,574
სულ გაუფასურებამდე	93,008	418,574
მინუს: გაუფასურების რეზერვი	(14,874)	(160,221)
წმინდა ფინანსური აქტივები	78,134	258,354
არაფინანსური აქტივები		
გადახდილი ავანსები	491	5,133
მოთხოვნები თანამშრომელთა მიმართ	533	-
წმინდა არაფინანსური აქტივები	1,024	5,133
სულ	79,158	263,487
გაუფასურების რეზერვის ცვლილება:		
	31.12.2022	31.12.2021
1 იანვარი		
საექვო მოთხოვნების ანარიცხის ცვლილება	145,347	(7,445)
31 დეკემბერი	145,347	(7,445)

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2022	31.12.2021
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში		108,740
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	89,097	141,782
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში		15,609
სულ	89,097	266,130

15. მიღებული სესხები

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	ძირი ლარში
შპს საქართველოს სალიზინგო კომპანია		ლარი	8625
სულ			8625

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	1,552	33,016
გადასახდელი ხელფასები	18,075	71,097
სხვა ვალდებულებები	97,393	86,150
სულ ფინანსური ვალდებულებები	117,020	190,263
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	71,335	62,906
სულ არაფინანსური ვალდებულებები	71,335	62,906
სულ	188,355	253,168

17. პრობები და ვალდებულებები

კომპანიის ხელმძღვანელობა საკუთარი შეფასებისა და შიდა პროფესიული რჩევების საფუძველზე მიიჩნევს, რომ მატერიალურ დანაკარგებს არ ქონია ადგილი და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღნიშნულა არავითარი დებულება ამასთან დაკავშირებით.

მენეჯმენტი მიიჩნევს რომ მისი ინტერპრეტაცია შესაბამისია კანონმდებლობასთან და კომპანიის საგადასახადო, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიციები შენარჩუნებული იქნება. შესაბამისად, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პოტენციური საგადასახადო ვალდებულების არარსებობა არ დაფიქსირებულა.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ საწესდებო დოკუმენტაციაში შევიდა ცვლილება და შეიცვალა დამფუძნებელი და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი.

შპს „თეგინი“-ს
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	1,433,173	629,437
არამატერიალური აქტივები	11	3,253	2,546
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,436,426	631,984
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	12	171,738	132,486
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	79,158	263,487
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	89,097	266,130
სულ მიმდინარე აქტივები		339,993	662,104
სულ აქტივები		1,776,419	1,294,087
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი		11,381	641
სხვა რეზერვები		820,665	(103,525)
გაუნაწილებელი მოგება		747,393	860,202
სულ საკუთარი კაპიტალი		1,579,439	757,318
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	15	8,625	73,361
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		8,625	73,361
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	15		210,240
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	188,355	253,168
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		188,355	463,408
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,776,419	1,294,087



სახელი გვარი - ფინანსური დირექტორი

28 სექტემბერი, 2023
თბილისი, საქართველო



სახელი გვარი - გენერალური დირექტორი

შპს „თეგინი“- ს

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარი)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	5	1,287,912	3,157,956
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(512,020)	(1,910,668)
შრომის ანაზღაურება		(521,842)	(275,622)
სოციალური დანარიცხები		(11,605)	(23,775)
დებიტორული დავალიანების გაუფასურება/რივერსი	7	145,347	(7,445)
ცვეთა და ამორტიზაცია	11	(87,668)	(39,406)
სხვა ხარჯები	8	(181,186)	(233,750)
საოპერაციო მოგება		118,937	667,290
არასაოპერაციო შემოსავალი		1,510	9,186
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		79,006	11,876
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება	9	(3,059)	2,405
ფინანსური ხარჯი	10	(16,406)	(79,246)
მოგება დაბეგვრამდე		179,988	611,511
მოგების გადასახადი		(47,977)	
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		132,010	611,511



სახელი გვარ - ფინანსური დირექტორი

28 სექტემბერი, 2023
თბილისი, საქართველო



სახელი გვარი - გენერალური დირექტორი

შპს „თეგმი“-ს
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16,770	575,887	- 103,525	489,132
გასული წლის ნაშთის კორექტირება				-
გამოცხადებული დივიდენდი		(301,736)		301,736
წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი მოცემული წლისათვის		611,511		611,511
სხვა რეზერვები	(16,129)	(25,459)		41,588
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	641	860,202	- 103,525	757,318

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	641	860,202	- 103,525	757,318
გასული წლის ნაშთის კორექტირება				-
გამოცხადებული დივიდენდი		(244,819)		244,819
წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი მოცემული წლისათვის		132,010		132,010
სხვა რეზერვები	10,740		924,189	934,929
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,381	747,394	820,664	1,579,439


სახელი გვარი - ფინანსური დირექტორი

28 სექტემბერი, 2023
თბილისი, საქართველო


სახელი გვარი - გენერალური დირექტორი